საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგელია შალვა ილიას ძე

გოგელია შალვა ილიას ძე (დ. და გ. წლები უცნობია), ანარქისტი. 1906 თბილისში გამოსცა ბროშურა „ჩვენი მტრები და მეგობრები", რ-შიც ხალხის მჩაგვრელ ინსტიტუტებად მიიჩნევდა მონარქიას, კაპიტალიზმს, ოჯახს, ტრადიციებს. 1908 თავის ძმასთან გ. გოგელიასთან ერთად გამოსცა წიგნი: კრიტიკა სოციალ-ფედერალიზმისა და კრიტიკა სოციალდემოკრატიისა". 1905–07 რევ. პერიოდში ისინი მწვავედ დაუპირისპირდნენ ქართვ. ანარქისტთა მეორე ჯგუფს (ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი). XX ს. 10-იანი წლებიდან გ. აღარ ჩანს *პოლიტ.* სარბიელზე.

დ. შველიძე